



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center



სნობის ფურცელი

ივლისი, აგვისტო, სექტემბერი

2022



მიმდინარე კონკურსები

1. მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2022 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი;
2. სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2023 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი;
3. მხატვრული მრავალსერიიანი ფილმის (3-5 ეპიზოდი) სცენარის შექმნისა და წარმოების დაფინანსების კონკურსი;
4. მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის 2023 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი;
5. დოკუმენტური ფილმის 2023 წლის წარმოების კონკურსი.



„დიდი შესვენება“



„ტერცო მონდო“

მოსამზადებელ პერიოდშია:

- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დროებითი ჭერი“ (პროდიუსერი – შპს „ნათურა ფილმი“, რეჟისორი – გიორგი ქობალია);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აკვარიუმი“ (პროდიუსერი – შპს „ს.ს.ს.“, რეჟისორი – თორნიკე ბზიავა);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ქალაქის ხმაური“ (პროდიუსერი – შპს „თეიქს ფილმი“, რეჟისორი – პაპუნა მოსიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცივი ღრუბლები“ (პროდიუსერი – შპს „20 სტეფს ფროდაქშენი (20 steps productions)“, რეჟისორი – კახა კიკაბიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანატორი: მკვდრების სოფელი“ (პროდიუსერი – შპს „სიბლერ ფროდაქშენი“, რეჟისორი – გიორგი გოგიჩაიშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მთვარე მამაა ჩემი“ (პროდიუსერი – შპს „ვაგონეტი“, რეჟისორი – გიორგი ოვაშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წყლების მაღაზია“ (პროდიუსერი – შპს „სტუდია – 99“, რეჟისორი – შტეფან ტოლცი);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სავსე სიცარიელე“ (პროდიუსერი – შპს „სტუდია+1“, რეჟისორი – ირინე ჯავახიძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვაკუმი“ (პროდიუსერი – შპს „12“ თედო დოლიძე, რეჟისორი – თედო დოლიძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ძაფი“ (პროდიუსერი – შპს „ფილმ ასულუმი“, რეჟისორი – ლევან სიხარულიძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩვენი სიყვარულის მერე“ (პროდიუსერი – შპს „12“ თედო დოლიძე, რეჟისორი – ამირან დოლიძე);

- ▶ დოკუმენტური ფილმი „შაქრო-ცხენი, ზორო, ფანტომასა და ტაისონა“ (პროდიუსერი – შპს „პალესტრა“, რეჟისორი – თემურაზ ცავა);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „რაც ღმერთს სწამდა“ (პროდიუსერი – შპს „მიდი ფილმი“, რეჟისორი – მარინე გულბიანი);
- ▶ მოკლე მხატვრული ფილმის წარმოება „მილი“ (პროდიუსერი – შპს „12“ რეჟისორი – შალვა სოყულაშვილი).

გადაღების პერიოდშია:

- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პანოპტიკონი“ (პროდიუსერი – შპს „20 სთეფს ფროდაქშენი (20 steps productions)“, რეჟისორი – ჯორჯ სიხარულიძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კორიდა“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტა ფილმს“, რეჟისორი – გიორგი სამსიანი);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „მჩხიბავი“ (პროდიუსერი – შპს „ბი აი თი სტუდია“, რეჟისორი – ანა კვიჭიძე);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „ოცნება კადილაკზე“ (შპს „პარაშუტი, რეჟისორი – ელენე მიქაბერიძე);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „შოთას და დანარჩენ 99-ს მოსწონს ეს“ (პროდიუსერი – ააიპ საავტორო ფილმების სტუდია, რეჟისორი – ერეკლე ინაშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აფრიკა“ (პროდიუსერი – შპს „კინო არქიტექტურის ოფისი“, რეჟისორი – რატი ჭეზაშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წმინდა ელექტროენერგია“ (პროდიუსერი – შპს „განგო სტუდია“, რეჟისორი – ვახტანგ კოტეტიშვილი);
- ▶ ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „ანტიკვარიანი“ (პროდიუსერი – შპს „სინეტეჟი“, რეჟისორი – რუსუდან გლურჯიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორმო“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი – გიორგი ჩალაური).
- ▶ დოკუმენტური ფილმი „კავკასიონის ხუთი ხედი“ (პროდიუსერი – შპს „ეკო ფილმს“ (EcoFilms), რეჟისორი – ნიკა წიკლაური).
- ▶ დოკუმენტური ფილმი „ბოლო ზარი“ (პროდიუსერი – შპს „ნათურა ფილმი“, რეჟისორი – ბესო (გივი) ოდიშარია);
- ▶ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (პროდიუსერი – ფ/პირი გელა კანდელაკი, რეჟისორი – გელა კანდელაკი);



„გამთრის დეპრესია“




„ვენეცია“

- ▶ მოკლე მხატვრული ფილმი „ჩატვირთვა“ (პროდიუსერი – შპს „დიგიტალ ქითჩენ ფილმსი“, რეჟისორი – გიორგი წილოსანი);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „მუღამათი“ (პროდიუსერი – ი/მ თამთა გაბრიჩიძე, რეჟისორი და სცენარის ავტორი – თამთა გაბრიჩიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „თხილი“ (პროდიუსერი – შპს „იბერიკა ფილმი“, რეჟისორი – ლევან კოლუაშვილი);
- ▶ მცირებუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ინგა“ (პროდიუსერი – შპს „სიბლერ ფილმსი“, რეჟისორი – დავით აბრამიშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „სატრფიალო პასტორალი“ (პროდიუსერი – შპს „თთფილმი“, რეჟისორი – თინათინ გურიჩიანი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ტერცო მონდო“ (პროდიუსერი – ს.ს. „ქართული ფილმი“, რეჟისორი – მერაბ კოკოჩაშვილი);
- ▶ ანიმაციური ფილმი „განდეგილი“ (პროდიუსერი – შპს „შემოქმედებითი სანარმოო გაერთიანება ლირა ფროდაქშენი“, რეჟისორი – დათო კიკნაველიძე);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „ვიდინოთ“ (პროდიუსერი – ააიპ „საქდოკ ფილმი, რეჟისორი – სოფიო მედოიძე);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „რაც თავი მახსოვს“ (პროდიუსერი – შპს „ფორმო“, რეჟისორი – მაკა გოგოლაძე);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „მწარე შაქარი“ (პროდიუსერი – ააიპ „ბავშვთა და მოზარდთა ჰარმონიული განვითარების ცენტრი“, რეჟისორი – ანა ბარჭაძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ხმელი ფოთოლი“ (პროდიუსერი – ი/მ ალექსანდრე კობერიძე, რეჟისორი – ალექსანდრე კობერიძე);
- ▶ მცირებუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აღარ შემიძლია“ (პროდიუსერი – შპს „პარაშუტი“, რეჟისორი – ეკატერინე ჭელიძე).

პოსტ-პროდუქციის პერიოდშია:

- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გამთრისპირის სევდა“ (პროდიუსერი – შპს „ფილმ ასილუმ“ (Film Asylum), რეჟისორი – აკაკი შანშიაშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ლევანი და გივი“ (პროდიუსერი – შპს „ჯემინი“, რეჟისორი – ბაკურ ბაკურაძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „როცა 17 წლის ხარ“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი – გიორგი მუხაძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ველი“ (პროდიუსერი – შპს „პანსიონატი“, რეჟისორი – გიორგი ცქვიტინიძე);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „თბილისის ომი“ (პროდიუსერი და რეჟისორი – ინდ/მენარმე იოსებ დუმბაძე);
- ▶ მოკლე მხატვრული ფილმის წარმოება „ალდი“ (პროდიუსერი – შპს „ბრინგო“, რეჟისორი – გიორგი არაბული);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „რეკვიემი ზაფხულის სიცხიან დღეებს“ (პროდიუსერი – ააიპ „ათიკ პროდაქშენი“, რეჟისორი – გიორგი ფარქოსაძე);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მკვდარი“ (პროდიუსერი – შპს „ახალი ქართული ფილმი“ ნიკოლოზ აბრამაშვილი, რეჟისორი – გიორგი ანთიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჰაერი ლურჯი აბრეშუმია“, (პროდიუსერი – შპს „კედარი“, რეჟისორი -- ირინე ჟორდანიას);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სად მიდის ლიზა“ (პროდიუსერი – შპს „ნ&ნ“ (N&N), რეჟისორი – ნანა ჯანელიძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წესების დაცვით“ (პროდიუსერი – შპს „მალჰოლანდ ფილმი“, რეჟისორი – დოვერ ქოსაშვილი);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვენეცია“ (პროდიუსერი – შპს „ნიკე სტუდიო“, რეჟისორი – რუსუდან ჭყონია);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ამაღლება“ (პროდიუსერი -- 20 სტეპს პროდაქშენი, რეჟისორი – გიორგი თავართქილაძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მოქალაქე წმინდანი“ (პროდიუსერი – შპს „არტიზმი“, რეჟისორი – თინათინ ყაჭარიშვილი);
- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აუზი“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი – სალომე ლაცაბიძე);



„როცა 17 წლის ხარ“



„ხმელი ფოთოლი“

- ▶ მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უსაზღვროდ“ (პროდიუსერი და რეჟისორი – ფ/პ ლუკა მგელაძე);
- ▶ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომთაბარე“ (პროდიუსერი – შპს „პანსიონატი“, რეჟისორი – ირაკლი მეთრეველი);
- ▶ დოკუმენტური ფილმი „სიცოცხლეში დაბრუნება“ (პროდიუსერი – შპს „3003 ფილმ ფროდაქშენი“, რეჟისორი – ლანა ღოღობერიძე).

დასრულდა:

- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „პატარა ხოჭო“ (პროდიუსერი – შპს „ელელენდი“, რეჟისორი – ელენე სებისკვერაძე);
- „ოჰ! დედა, დედა“ – (პროდიუსერი – შსგ „გლაბერ“, რეჟისორი – ხათუნა ტატუაშვილი);
- „როცა გადამფრენი ჩიტები სახლს ტოვებენ“ – (პროდიუსერი – ააიპ „ლეველ2 ფილმს, რეჟისორი – ნათია არაბული-ვეგერი);
- „ცით დაკავებული კაცი“ (პროდიუსერი – შპს „ნიუდოკფილმ“, რეჟისორი – ალექსანდრე ნავერიანი);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ქალაქის თვითმფრინავი“ (პროდიუსერი – შპს „20 სტეფს ფროდაქშენი (20 steps productions), რეჟისორი – თამთა მანაგაძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დიდი შესვენება“ (პროდიუსერი – შპს „მილიმეტრ ფილმი“, რეჟისორი – დათა ფირცხალავა);
- „დედობრივი ინსტინქტი“ – (პროდიუსერი – ი/მ გვანცა მეფარიშვილი; რეჟისორი – გრიგოლ ჭანაშია);
- „კონტექსტიდან ამოჭრილი“ – (პროდიუსერი – შპს „შპს „ზუჩი ფილმსი“ მინდ. პირი ნატო გაბუნია; რეჟისორი – ნატო გაბუნია);

- „კაი ბიჭები“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს – შპს „20 სთეფს ფროდაქშენი“ (20 steps productions), რეჟისორი – გიორგი თავართქილაძე, სცენარის ავტორი – გიორგი თავართქილაძე);
- „გაკოტრება“ – (საპროდიუსერო კომპანია – ააიპ „მიკროკოსმოსი“, რეჟისორი – სალომე ჯაში – სცენარის ავტორი – სალომე ჯაში);
- „უოლდენი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „შემოქმედებითი სანარმოო გაერთიანება ლირა პროდაქშენი“, რეჟისორი – გურამ მეგრელიშვილი, სცენარის ავტორი – გურამ მეგრელიშვილი);
- „ნინო და ილიკო“ – (პროდიუსერი – შპს „1991 ფროდაქშენი“, სცენარის ავტორი – მაკა კუკულავა-ფუასიე);
- „სიმონ ჯაშის ცხოვრება“ – (პროდიუსერი – შპს „კლოუნ კო“, სცენარის ავტორი – დიმიტრი მამულია);
- „ვია იმედი“ – (პროდიუსერი – შპს „ნიუდოკფილმ“, სცენარის ავტორი – ლევან ცერცვაძე).



„პატარა ხოჭო“



„კავკასიონის ხუთი ხედი“

განვითარების პროცესშია:

- ▶ „თამაშგარე“ – (პროდიუსერი – შპს „newdocfilm“ ნინუკი ქოიავა; რეჟისორი – სანდრო ნავერიანი);
- ▶ „მეათე მოწმე“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს. „იტს სტუდიო“ (Its STUDIO), სცენარის ავტორი გიგა ლიკლიკაძე);
- ▶ „მამა აბრამის ბატკანი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს „ვაგონეტი“, სცენარის ავტორი – გიორგი ოვაშვილი);
- ▶ „დაბრუნება“ – (პროდიუსერი – შპს „პანიკა ფილმსი“, სცენარის ავტორი – გურამ ბაქრაძე);
- ▶ „კახაბერი“ – (პროდიუსერი – ინდ/მენარმე „გიორგი გეთიაშვილი“, სცენარის ავტორი – გიორგი გეთიაშვილი);
- ▶ ლომის ახალი ფაფარი (პროდიუსერი და რეჟისორი – ინდ/მენარმე „ანა ჩუბინიძე“);
- ▶ იფიქრე ნაკლები (პროდიუსერი – ინდ/მენარმე „ქეთევან ჯანელიძე“, რეჟისორი – ლევან ყუფარაძე);
- ▶ „ჩემი დაკარგული სხეული“ (პროდიუსერი – შპს „სტუდია ლოკოკინა“, რეჟისორი – ალექსანდრე კვატაშიძე).



დავით ფირცხალავას ფილმი „დიდი შესვენება“ ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალზე

დავით ფირცხალავას ფილმის „დიდი შესვენება“ მსოფლიო პრემიერა წარმატებით შედგა ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალზე.

ფესტივალის აუდიტორიამ ფილმი სამჯერ იხილა. აქედან ერთი ჩვენება საერთაშორისო პრესის წარმომადგენლებისთვის გაიმართა.

ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კინოლონისძიებაა, რომელიც კანადაში 1976 წლიდან იმართება. წელს ფესტივალს 8-18 სექტემბერს ჩატარდა. დავით ფირცხალავას „დიდი შესვენება“ წარმოდგენილი იყო სექციაში „აღმოჩენები“.



ნანა მჭედლიძის ფილმი „პირველი მერცხალი“ სან სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალზე

ნანა მჭედლიძის ფილმის „პირველი მერცხალი“ აღდგენილი ვერსიის ჩვენება სან სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიმართა.

კინოჩვენება 24 სექტემბერს შედგა სექციაში Klasikoak და მას რეჟისორის შვილი – მაგდა მჭედლიძე დაესწრო.

„პირველი მერცხალი“ ერთ-ერთი გამორჩეული და მაყურებლისთვის საყვარელი ფილმია ქართული კინოსა და თეატრის ვარსკვლავების მონაწილეობით. იგი ნანა მჭედლიძემ ფოთში 1975 წელს გადაიღო ლევან ჭელიძის სცენარის მიხედვით, რომლის შექმნაშიც თავად რეჟისორიც მონაწილეობდა. „პირველი მერცხალის“ აღდგენის პროცესი ეროვნულ არქივთან თანამშრომლობით რამდენიმე თვის წინ დასრულდა.

სან სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალის ფესტივალების ა-კლასის კატეგორიას მიეკუთვნება და იგი ესპანეთში 1953 წლიდან ტარდება. ამ დროის მანძილზე, სან სებასტიანში არაერთი საეტაპო ფილმის მსოფლიო პრემიერა შედგა.



ალექსანდრე ქორიძის „ატონალური გაბრწყინება“ სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალზე

ალექსანდრე ქორიძის ფილმი „ატონალური გაბრწყინება“ მონაწილეობდა სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალის დოკუმენტური ფილმების საკონკურსო სექციაში.

Docu Press Corner-მა ერთ-ერთი ლაივ ჩართვა ქართველ რეჟისორსა და მის კინოდოკუმენტალისტ კოლეგებს დაუთმო და ისინი ფესტივალის სტუმრებს წარუდგინა.

შეხვედრა მიმდინარეობდა პროგრამის სელექტორთან ერთად, კითხვა-პასუხის ფორმატში და გადაიცემოდა ლაივ სტრიმის მეშვეობით.

ფილმი „ატონალური გაბრწყინება“ შექმნილია ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით.



სვანეთის საერთაშორისო კინოფესტივალი

10-16 ივლისს, ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით მესტიაში უკვე მეორედ ჩატარდა სვანეთის საერთაშორისო კინოფესტივალი.

კინოფესტივალის დამფუძნებლები არიან რეჟისორი მარიამ ხაჭვანი და თეიმურაზ ჩხვიმიანი.

ფესტივალის დაჯილდოვების ცერემონიაზე პრიზები შემდეგნაირად გადანაწილდა:

- „ქალღმერთი დალის ჭილდო“ საუკეთესო ფილმისთვის – „ბესტია“, რეჟისორი უგო კოვარუბიასი (ჩილე);
- „ქალღმერთი დალის ჭილდო“ საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისთვის – „ლამის ნათება“, რეჟისორი კიმ ტორესი (კოსტა რიკა);
- „ქალღმერთი დალის ჭილდო“ საუკეთესო სამსახიობო ანსაბლისთვის – „ლამის გუშაგები“, რეჟისორი სანდრო სულაძე (საქართველო).

კინოკრიტიკოსთა რჩეულები გახდნენ:

- „სიტყვების ნაკადი“, რეჟისორი ელიანე ისტერი (ნიდერლანდები);
- „გუშაგები“, რეჟისორი სანდრო სულაძე (საქართველო).

მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო კონკურსის გარდა, სვანეთის კინოფესტივალის ფარგლებში გაიმართა ინდუსტრიული შეხვედრები, მასტერკლასები და ვორქშოპები. ფესტივალზე დასასწრებად მესტიას სხვადასხვა ქვეყნიდან არაერთი გამორჩეული კინემატოგრაფისტი ეწვია.



მესტიის მოკლემეტრაჟიანი და მთის ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალი

ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით, მესტიის მოკლემეტრაჟიანი და მთის ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალი 17-21 აგვისტოს მეორედ ჩატარდა. ფესტივალის დამფუძნებლები არიან „მესტიის კულტურის და ხელოვნების ცენტრი“ და რეჟისორი და პროდიუსერი ხათუნა ხუნდაძე.

ფესტივალზე დაჯილდოვდნენ:

მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო კონკურსი

- საუკეთესო ფილმი – „ნათლობა იორდანეში“, რეჟისორი მიხეილ კვირიკაძე (საქართველო);
- სპეციალური აღნიშვნა – „ესმერალდა“, რეჟისორი – სამანტა ოროზოკო კარვალაო (მექსიკა);
- სპეციალური პრიზი – „სამზადისი“, რეჟისორი – ილია ასიტაშვილი (საქართველო).

მთის ფილმების კონკურსი

- მთავარი ჭილდო – „მთა“, რეჟისორი ჯოუკ ოლთარი (ნიდერლანდები);
- საუკეთესო ფილმი – „დალაუგირი“, რეჟისორი – პავოლ ბარაბაში (სლოვაკეთი);
- სპეციალური პრიზი – „რკინის მთხრელი“, რეჟისორი რეანილ ბუდა მაჰარი (ნეპალი);

საკონკურსო ფილმების ჩვენებების გარდა, გაიმართა საინტერესო მასტერკლასები და რეტრო-სპექტივები. ფესტივალი დაიხურა ზაზა ხალვაშის ფილმით „ნამე“, რამაც აუდიტორიის დიდი მოწონება დაიმსახურა.

ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „ნიქოზი“

1-6 სექტემბერს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით ნიქოზში მეთედ გაიხსნა ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი.

ფესტივალის მსვლელობისას სტუმრები ეცნობიან თანამედროვე ანიმაციაში მიმდინარე პროცესებს, ხვდებიან ცნობილ რეჟისორებს, პროდიუსერებსა და მხატვრებს, ანიმაციით დაინტერესებული ახალგაზრდებისათვის კი იმართება სემინარები და ოსტატობის გაკვეთილები.

წელს საქართველოს ანიმატორთა ასოციაციამ „საქანიმა“ ფესტივალზე წარადგინა ახალი ქართული ანიმაციური ფილმების პროგრამა.

პროგრამაში იყო:

- „ფრენცის სასადილო“;
- „გოლემია“;
- „ყვავი“;
- „მიტოვებული სოფელი“.

ოთხივე ფილმი შექმნილია ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით.

საერთაშორისო ახალგაზრდული კინოფესტივალი „თაობა“

12-16 სექტემბერს საერთაშორისო ახალგაზრდული კინოფესტივალი „თაობა“ წელს მეხუთედ ჩატარდა. ეროვნული კინოცენტრი ფესტივალის მხარდამჭერია.

„თაობა“ ხელს უწყობს ახალგაზრდა აუდიტორიის შესაძლებლობების წარმოჩენასა და ქვეყანაში კინოგანათლების პოპულარიზაციას.

16 სექტემბერს ფესტივალის დასკვნითი ღონისძიება გაიმართა. ფილმების ხილვის შემდეგ, „თაობის“ 13-15 წლის მონაწილეებმა თავიანთ რჩეულ მოკლემეტრაჟიან ფილმებს მისცეს ხმა და დახურვის საზეიმო ცერემონიაზე გამარჯვებულები გამოავლინეს.





ქუთაისის საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი

ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით, ქუთაისში ჩატარდა საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი.

დაჯილდოვების ცერემონია კინოთეატრ „საქართველოში“ გაიმართა, სადაც გამოვლინდნენ ფესტივალის გამარჯვებულები:

ფესტივალის მხატვრული მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსი

- „ოქროს დინოზავრი“ საუკეთესო მხატვრული ფილმისთვის – „ვერ მოვასწარი მისი შეყვარება“, რეჟისორი ანა ფერნანდეს დე პაკო, ესპანეთი;
- „ოქროს დინოზავრი“ საუკეთესო რეჟისურისთვის – სანდრო სულაძე ფილმისთვის „გუშაგები“, საქართველო;
- ჟიურის თავმჯდომარის სპეციალური პრიზი – „ბატიკის ოთახი“, რეჟისორი მარია ხალპახჩი, უკრაინა;
- ჟიურის სპეციალური აღნიშვნა საუკეთესო შესრულებისთვის – ბარა მოლაე ფილმისთვის „შეტყობინება შეწყვეტის შესახებ“, ირანი;
- ჟიურის სპეციალური აღნიშვნა საუკეთესო სცენარისთვის – ქსავიე დისკუვე ფილმისთვის „ვუნდერკინდი“, ბელგია.

ფესტივალის დოკუმენტური ფილმების კონკურსი

- „ოქროს დინოზავრი“ საუკეთესო დოკუმენტური ფილმისთვის – „არავინ და ლურჯი ცა“, რეჟისორი მაგდა გველესიანი, გერმანია;
- „ოქროს დინოზავრის“ მეორე ადგილისთვის – „არავის ვეკუთვნი“, რეჟისორი ანუკ მელისნერი, საფრანგეთი.

კინოკრიტიკოსთა ჟიურიმ მიხეილ კობახიძის სახელობის ჭილდო გადასცა ფილმს – „ფუტკრის დაცემა“, რეჟისორი ვაჟიკო ჩაჩხიანი, საქართველო.

ფესტივალის ფარგლებში ასევე გაიმართა „სცენარის განვითარების ვორქშოფი“, რომლის გამარჯვებულებიც გახდნენ: გრიგოლ ჯანაშია (პროექტი „საჭესთან“) და თინა ლალიძე (პროექტი „მალლა ზეცისკენ“).



ქართული კინოს რეტროსპექტივა Lago Film Fest-ზე

„სასიყვარულო წერილი ქართულ კინოს“ – ალექსანდრე კობერიძის კურატორობით Lago Film Fest ქართული კინოს რეტროსპექტივას მასპინძლობდა.

22-30 ივლისს იტალიაში გაიმართა Lago Film Fest. შარშან, 2021 წელს კინოფესტივალზე შედგა რეტროსპექტივა, რომელიც ალექსანდრე კობერიძის შემოქმედებას მიეძღვნა, წელს კი რეჟისორი იტალიაში ქართული კინომემკვიდრეობის გამორჩეული ნამუშევრებით დაბრუნდა, რომელიც თავად შეარჩია. პროექტის პარტნიორები იყვნენ ეროვნული კინოცენტრი და ეროვნული არქივი.

რეტროსპექტივა აერთიანებდა 1927-1980 წლებში გადაღებულ შემდეგ ქართულ ფილმებს:

- „გოგი რატიანი“ – რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი
- „კოლხიდა“ – რეჟისორი სოსო ჩხაიძე
- „ხაბაზები“ – რეჟისორი ბიძინა რაჭველიშვილი
- „ფეოლა“ – რეჟისორი ბაადურ წულაძე
- „მეკვლე“ – რეჟისორი გოდერძი ჩოხელი

აღსანიშნავია, რომ რეჟისორის ძმა – გიორგი კობერიძე, რომელმაც შექმნა მუსიკა არაერთი საერთაშორისო ჭილდოს მფლობელი ფილმისთვის „რას ვხედავთ, როდესაც ცას ვუყურებთ?“, ფესტივალს ჟიურის წევრის სტატუსით დაესწრო.

ქართული კინოს რეტროსპექტივა ბრაზილიაში

29 სექტემბრიდან 12 ოქტომბრის ჩათვლით, ბრაზილიაში, ონლაინ პლატფორმაზე Belas Artes À LA CARTE (www.belasartosalacarte.com.br) იმართება ქართული კინოს რეტროსპექტივა სახელწოდებით: „მსოფლიოს გარშემო – საქართველო“.

რეტროსპექტივის ფოკუსშია გამორჩეული ქართველი რეჟისორის – ელდარ შენგელაიას შემოქმედება. ბრაზილიელმა მაყურებელმა იხილა მისი ორი ფილმი „შერეკილები“ და „თეთრი ქარავანი“, ასევე, მაყურებელი გაეცნო საინტერესო ისტორიებს კინორეჟისორის შემოქმედებითი ბიოგრაფიიდან.

ელდარ შენგელაიას ფილმებთან ერთად, რეტროსპექტივის პროგრამაშია:

- „პირველი მერცხალი“ – რეჟისორი ნანა მჭედლიძე
- „გაილიმეთ“ – რეჟისორი რუსუდან ჭყონია
- „უარყოფითი რიცხვები“ – რეჟისორი უტა ბერია
- „შემთხვევითი პაემნები“ – რეჟისორი ლევან კოლუაშვილი
- „სიმინდის კუნძული“ – რეჟისორი გიორგი ოვაშვილი

აღსანიშნავია, რომ ქართული ფილმების ონლაინ პლატფორმაზე განთავსებამდე 2 დღით ადრე, 27 სექტემბერს რეტროსპექტივა გახსნა რუსუდან გლურჯიძის ფილმმა „სხვისი სახლი“, კინოჩვენება შედგა ქალაქ სან-პაულუში, კინოთეატრში Belas Artes.



„60-იანი წლების ქართული კინო“

ეროვნული კინოცენტრის ორგანიზებით, რეტროსპექტივა „60-იანი წლების ქართული კინო“ ჩატარდა საქართველოს კინოაკადემიაში. 24 ივნისიდან 5 ივლისის ჩათვლით, კინოაკადემიის ლურჯ კინოდარბაზში შედგა არაერთი გამორჩეული ქართული ფილმის ჩვენება.

პროგრამაში იყო:

- „მაგდანას ლურჯა“ (რეჟისორები: თენგიზ აბულაძე, რეზო ჩხეიძე);
- „ფერისცვალება“ (რეჟისორი: ლანა ლოლობერიძე)
- „თეთრი ქარავანი“ (რეჟისორი: ელდარ შენგელაია, თამაზ მელიავა);
- „გიორგობისთვე“ (რეჟისორი: ოთარ იოსელიანი);
- „ალავერდობა“ (რეჟისორი: გიორგი შენგელაია);
- „ფიროსმანი“ (რეჟისორი: გიორგი შენგელაია);
- „XIX საუკუნის ქართული ქრონიკა“ (რეჟისორი: ალექსანდრე რეხვიაშვილი);
- „პირველი მერცხალი“ (რეჟისორი: ნანა მჭედლიძე);
- „შერეკილები“ (რეჟისორი: ელდარ შენგელაია);
- „დიდი მწვანე ველი“ (რეჟისორი: მერაბ კოკოჩაშვილი);
- „ერთი ნახვით შეყვარება“ (რეჟისორი: რეზო ესაძე);
- „მონანიება“ (რეჟისორი: თენგიზ აბულაძე);

კინომემკვიდრეობაზე ზრუნვა ეროვნული კინოცენტრის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ქართული ფილმების დაბრუნების პროცესი 2016 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით. ამ ეტაპზე რუსეთის ფილმსაცავ „გოსფილმოფონდ“-იდან ჩამოტანილია 51 ფილმი, აქედან აღდგენილია 38.

„60-იანი წლების ქართული კინოს“ რეტროსპექტივის მონაწილე ფილმების უმეტესობა აღდგენილია საქართველოს ეროვნულ არქივთან თანამშრომლობით, გიორგი კაკაბაძის ხელმძღვანელობით.

ქართული ფილმები საქართველოს კინოთეატრებში

- 22 სექტემბერს კინოთეატრში „კავია გალერია“ შედგა თაზო ნარიმანიძის ფილმის პრემიერა „ზამთრის დეპრესია“;
- 15 სექტემბრიდან საქართველოს კინოთეატრებში გამოვიდა იოსებ (სოსო) ბლიაძის ფილმი „ოთარის სიკვდილი“;
- 30 ივლისს, ქუთაისის კინოთეატრმა „საქართველო“ უმასპინძლა მარი გულბიანის ფილმის ჩვენებას „სანამ მამა დაბრუნდება“.



ამერიკის კინოაკადემიის „ოსკარის“ 2023 წლის ნომინაციაზე საქართველოდან წარსადგენი ფილმის შესარჩევ კონკურსში გაიმარჯვა დავით ფირცხალავას ფილმმა „დიდი შესვენება“.

„დიდი შესვენება“ გადაღებულია საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით და დავით ფირცხალავას სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმია.

კომისიამ გამარჯვებული 15 სექტემბერს გამოავლინა. დავით ფირცხალავას ფილმმა 12-დან 8 ხმა მიიღო.

კომისიის შემადგენლობაში იყვნენ:

- ოთარ ბუბაშვილი;
- მინდია ესაძე;
- ლევან თუთბერიძე;
- ვლადიმერ კაჭარავა;
- ედმონდ მინაშვილი;
- ირაკლი სამსონაძე;
- ანა ურუშაძე;
- ზაზა შათირიშვილი;
- ნიკუშა შენგელაია;
- ნინო ჩიმაკაძე;
- მაია ჭილაშვილი;
- მარიამ ხაჭვანი.

კონკურსში 6 ქართული ფილმი მონაწილეობდა:

- „ატონალური გაბრწყინება“ – რეჟისორი ალექსანდრე ქორიძე;
- „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ – რეჟისორი ბესო სოლომანაშვილი;
- „დიდი შესვენება“ – რეჟისორი დათა ფირცხალავა;
- „მოთვინიერება“ – რეჟისორი სალომე ჯაში;
- „ოთარის სიკვდილი“ – რეჟისორი იოსებ ბლიაძე;
- „ტყვია“ – რეჟისორი ხათუნა ვაშაძე.

ევროპის საბჭოს კინოფონდ „ევრიმაჟის“ მორიგ სამუშაო სესიას სტრასბურგმა ონლაინ ფორმატში უმასპინძლა.

„ევრიმაჟის“ გადაწყვეტილებით, 2022 წლის რიგით მეორე სამუშაო სესიაზე სულ 24 ფილმის პროექტი დაფინანსდა 6.511.000 ევროს ოდენობით, აქედან 2 დოკუმენტური ფილმის პროექტი და 2 ანიმაცია.

შერჩეულ პროექტებს შორის მოხვდა შტეფან ტოლცის გერმანულ-ქართულ-ბულგარული კოპროდუქცია „ერთი წვეთი“, „ევრიმაჟის“ დაფინანსება – 100 000 ევრო. აღსანიშნავია, რომ პროექტს, ასევე, მოპოვებული აქვს ეროვნული კინოცენტრის დაფინანსება ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების კონკურსში.

საქართველო „ევრიმაჟის“ წევრი ქვეყანა 2011 წელს გახდა. ამ წლების მანძილზე კინოფონდის მიერ მხარდაჭერილია 18 ქართულ-უცხოური კოპროდუქცია.



DOK LEIPZIG PREVIEW AWARD ქართულ პროექტს გადაეცა

სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალმა წელს უკვე მეოცედ უმასპინძლა ინდუსტრიულ ღონისძიებას სახელწოდებით CineLink Industry Days.

ღონისძიების ფარგლებში წარმოდგენილი იყო წარმოების სხვადასხვა ეტაპზე მყოფი 46 პროექტი.

პროექტების წარდგენის შემდეგ, ტრადიციულად გამოვლინდნენ გამარჯვებულები. ერთ-ერთი ჭილდო DOK LEIPZIG PREVIEW AWARD გადაეცა ქართულ პროექტს „რეკვიემი ზაფხულის სიცხიან დღეებს“.

„რეკვიემი ზაფხულის სიცხიან დღეებს“ გიორგი ფარქოსადის პირველი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის პროექტია. იგი ქართულ-ბერძნული კოპროდუქციაა, რომელსაც ქართული მხრიდან ახორციელებს საპროდუქსერო კომპანია Attic Production, ხოლო ბერძნული მხრიდან – Filmografik DocRepublic.

პროექტი იქმნება ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით და იგი ამჟამად პოსტ-პროდუქციის ეტაპზეა.

ნანა მჭედლიძის ფილმის „პირველი მერცხალი“ ჩვენება ფოთში



საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ეროვნული კინოცენტრის ორგანიზებით, 17 სექტემბერს ქალაქ ფოთში გაიმართა ნანა მჭედლიძის ფილმის „პირველი მერცხალი“ აღდგენილი ვერსიის ჩვენება. ღონისძიების მხარდამჭერი იყო ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია.

კინოჩვენება სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის ტერიტორიაზე ჩატარდა, სადაც ფილმის რამდენიმე სცენაა გადაღებული.

აღსანიშნავია, რომ კინოჩვენებას ეროვნული კინოცენტრისა და ქალაქ ფოთის მერიის წარმომადგენლებთან და ადგილობრივ მაცხოვრებლებთან ერთად დაესწრნენ მსახიობები მიხეილ კინწურაშვილი და ზურაბ შილაკაძე. ისინი ფილმში ლუტფიუსა და ჭემალის როლებს ასრულებენ. მათთან ერთად იყვნენ ნანა მჭედლიძისა (რეჟისორი) და ლევან ჭელიძის (სცენარის ავტორი) შვილები.

47 წლის შემდეგ ფილმის „პირველი მერცხალის“ დაბრუნებამ ფოთში აუდიტორიის დიდი მოწონება დაიმსახურა.

„ისტორია-კინო-ისტორია“



„ისტორია-კინო-ისტორია“ – ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში გაიმართა მორიგი შეხვედრა პროექტის იტალიელ და სერბ პარტნიორებთან.

შეხვედრას ეროვნული კინოცენტრის მხრიდან ესწრებოდნენ დირექტორის პირველი მოადგილე მაკო ჭილაშვილი და კინოგანათლების მიმართულების პროექტების მენეჯერი თეა გაბიძაშვილი.

შეხვედრაზე პარტნიორებმა ერთმანეთს გაუზიარეს მათ ქვეყნებში პლატფორმის გავრცელების სტრატეგიები, იმსჯელეს განეული სამუშაოს შედეგებზე და სამომავლო გეგმებზე.

კინოსაგანმანათლებლო პორტალი „ისტორია-კინო-ისტორია“ შექმნილია ევროკავშირის პროგრამა „შემოქმედებითი ევროპის“ ფინანსური მხარდაჭერით და ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველო პროექტში ჩართულია, როგორც ლიდერი ქვეყანა. ეროვნული კინოცენტრის პარტნიორები არიან: Cineteca Italiana (იტალია), The Film Space (დიდი ბრიტანეთი) და the National Cinématheque of Serbia (სერბეთი).

კინოსაგანმანათლებლო პორტალი „ისტორია-კინო-ისტორია“ ხელმისაწვდომია პროექტის მონაწილე ყველა ქვეყნის სახელმწიფო ენაზე.

პროექტზე მუშაობა დაიწყო 2020 წლიდან. შეიქმნა საგანმანათლებლო მასალები ორი მიმართულებით: მე-20 საუკუნის ევროპის ისტორიის სწავლება კინოს გამოყენებით და კინოს, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი მიმართულების ისტორიის სწავლება.

პროექტის ფინალურ ეტაპზე დაგეგმილია კონფერენციის ჩატარება საქართველოში, რომელსაც პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლები და კინომიმართულების პროექტების ექსპერტები დაესწრებიან.



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center



საქართველოს
კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის
სამინისტრო

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

სანაპიროს #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge
www.filmcommission.ge